მე-9 ყოველწლიური დემოკრატიის კონფერენცია

#GEODEM2024: 25 ივნისი, 2024

საქართველოს სვლა ავტორიტარიზმისკენ: როგორ გავუმკლავდეთ ანტიდემოკრატიულ წნეხს

ადგილი: The Biltmore Tbilisi-Grand Royal Ballroom

9:30 – 10:00	რეგისტრაცია, მიღება ყავით
10:00 – 10:20	**მისალმება** • **პროფ. კორნელი კაკაჩია**, დირექტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი(GIP) **გახსნა** • **მელინე არაქელიანი,** ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში
10:20 – 11:50	**პანელი 1: საუბარი პარტიებთან: გამოწვევები და პერსპექტივები ტურბულენტობის შემდეგ** **<u>მოდერატორი</u>: ნინო გელაშვილი,** უფროსი რედაქტორი, რადიო თავისუფლება მმართველი პარტიის გადაწყვეტილებამ - ხელახლა წარედგინა კანონი უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ (რომელსაც ბევრი „რუსულ კანონად“ მოიხსენიებს) და ამით გამოწვეულმა მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა, საქართველო კიდევ ერთხელ დააყენა გზაგასაყარზე. ქვეყნის ევროპული მომავალი სულ უფრო გაურკვეველი ხდება და, პროტესტის მიუხედავად, მმართველი პარტია მიზნად ისახავს ძალაუფლება უპრეცენდენტო - მეოთხე ვადით გაიხანგრძლივოს. უფრო მეტიც, ,,ქართული ოცნების“ ლიდერებმა აირჩიეს პოლარიზებითა და უნდობლობით სავსე ნარატივი, რომლის მიზანშიც, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო საზოგადოება, მედიაფიგურები და მათი პოლიტიკური ოპონენტები მოექცნენ. საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილების მაღალი დონის გამო, მოქალაქეები პოლიტიკური პარტიებისგან კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალ გადაწყვეტილებებს ელიან. მათ უნდა შეძლონ იმ პოლიტიკურ ლანდშაფტზე ლავირება, რომელზეც, ,,ქართული ოცნება“ უნდობლობას უცხადებს სამოქალაქო საზოგადოებას, მედიას და ოპოზიციური პარტიების წევრებს მათი განტევების ვაცებად შერაცხვით. მეტიც, ოპოზიციის წევრებმა უნდა შეძლონ ამომრჩევლების სენტიმენტების გათვალისწინებით საკუთარი ერთიანობის საფუძველზე ,,ქართული ოცნების“ დაბალანსება. ღრმა საზოგადოებრივი უნდობლობის დაუძლეველობა, ხელისუფლების ზეწოლა და შიდა განხეთქილება შეაფერხებს მათ შესაძლებლობას - დაძლიონ ქართული ოცნების დომინირება. პანელი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ კითხვებზე:

- რას ელის ამომრჩეველი პოლიტიკური პარტიებისგან 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ?
- როგორ ხედავენ ქართული პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნო გარემოს და მრავალპარტიული დემოკრატიის პერსპექტივას 2024 წლის წინასაარჩევნო სამზადისში?
- როგორ უპასუხებენ პოლიტიკური პარტიები საზოგადოების მოთხოვნებსა და მოლოდინებს დღევანდელი კონტექსტის გათვალისწინებით?
- რა ძირითადმა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს დემოკრატიული პროცესების შეფერხება არჩევნებამდე და არჩევნების დროს?
- მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგანან ქართული პოლიტიკური პარტიები?

მომხსენებლები:

- **დოქტ. ნინო ჯაფარიძე**, უფროსი მრჩეველი, ედისონ რისერჩი
- **ირაკლი კუპრაძე,** ლელო საქართველოსთვის
- **გიორგი ნონიაშვილი,** ევროპული საქართველო
- **თეიმურაზ პაპასქირი,** ახალი
- **დიმიტრი შაშკინი,** ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- **ბორის ჩელე ყურუა,** გირჩი მეტი თავისუფლება

11:50 - 12:15	შესვენება ყავით
12:15 – 13:45	**პანელი 2: ქართული დემოკრატიის მომავალი და საერთაშორისო საზოგადოების როლი**

<u>მოდერატორი</u>: **რეიჰან დემიტრი**, BBC-ს კორესპონდენტი

საქართველოში დემოკრატიული რეგრესის საპასუხოდ, მთავარმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა, როგორიცაა აშშ, ევროკავშირი და ნატო, გამოაქვეყნეს საქართველოს ავტორიტარიზმისკენ სვლასთან დაკავშირებით შეშფოთების გამომხატველი განცხადებების სერია. საერთაშორისო პარტნიორების გაფრთხილების მიხედვით, თუ საქართველო ამ გზით სვლას განაგრძობს, ის საერთაშორისო იზოლირების საფრთხის წინაშე დადგება. ამასთან ერთად, მათ ღიად დაუჭირეს მხარი ქართველი ხალხის ბრძოლას, დაეცვათ საკუთარი ქვეყნის ევროპული მომავალი. და მაინც, ,,ქართული ოცნების“ ლიდერემა უგულებელყვეს დასავლეთიდან მომდინარე გაფრთხილებები და მათ საქართველოს სუვერენულ საქმეებში ჩარევაში ადანაშაულებენ. დღევანდელი პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი საქართველოს მთავრობის მიერ საჯარო დისკურსში შეთქმულების თეორიების შემოტანაა, რომელიც დასავლეთს ადანაშაულებს ძლიერი ძალის - „გლობალური ომის პარტიის“ უკან დგომაში, რომელიც პასუხისმგებელია კონფლიქტების შექმნასა და ქვეყნების მოსკოვთან ომში ჩათრევაზე. მზარდი პოლიტიკური დაძაბულობის გარემოში, ეს პანელი განიხილავს ქართული დემოკრატიის დაცვაში საერთაშორისო თანამეგობრობის როლს.

პანელი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ კითხვებზე:

- რა სტრატეგიების გამოყენებით შეუძლია საერთაშორისო საზოგადოებას დაეხმაროს ქართველ ხალხს დემოკრატიულ გზაზე დაბრუნებაში?
- რა გზებით არის შესაძლებელი სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა ამ გამოწვევებით სავსე გარემოში?
- როგორ შეუძლია საერთაშორისო საზოგადოებას წვლილი შეიტანოს საქართველოში სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფაში?

მომხსენებლები:

- **ბერგლიოტ ჰოვლანდი,** ნორვეგიის სამეფოს ელჩი საქართველოში
- **ანდრიუს კალინდრა,** ლიეტუვის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში
- **რიინა კალიურანდი**, ესტონეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში
- **ანნე ტოფტ სორენსენი,** დანიის ელჩი საქართველოში
- **პროფ. ჯული ჯორჯი,** პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი, ნიუ იორკის სიტი უნივერსიტეტი, ადიუნკტ ასოცირებული პროფესორი, SIPA, კოლუმბიის უნივერსიტეტი

13:45 – 14:30	სადილი